

LANGUAGE POLICY ISSUES IN GEORGIA AT THE BEGINNING OF THE 20TH CENTURY (ACCORDING TO THE GEORGIAN ÉMIGRÉ PRESS)¹

ენობრივი პოლიტიკის საკითხები საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში
(ემიგრაციის ქართული პრესის მიხედვით)²

Irine Chachanidze

Doctor of Philology, Associate Professor of Akaki Tsereteli State University,
Kutaisi, Tamar Mepe str. 59, 4600, Georgia,
+ 995593754447, ir.chachanidze@gmail.com
<https://orcid.org/0009-0007-4963-8995>

Tamar Guchua

Doctor of Philology, Assistant Professor of Akaki Tsereteli State University,
Kutaisi, Tamar Mepe str. 59, 4600, Georgia,
+ 995593410918, me.tamuna@gmail.com

Abstract. Russification is a special case of cultural assimilation, when small nations fall under the influence of the Russian language and culture (Weinreich, 1953; Thaden, 1981; Weinerman, 1996; Kappeler, 2004; Jones, 2005; Miller, 2008; Weeks, 2010). At the beginning of the 20 th century, the norms of the language policy developed in the Russian Empire applied to the conquered and imperial countries, including Georgia.

The present paper aims to study the problems of the Russification language policy on the example of Georgia. The digital corpus of “Sakartvelo” (Georgia), the newspaper of the Georgian Emigrants of the early 20 th century, is used to provide empirical data. Illustrative

data have been collected and the questions given below are discussed using the method of sociolinguistic: 1) To what extent was the local population of Georgia ready to accept the Russian language in schools and theological education? 2) To what extent was the “immersion method” of teaching justified in the Russification language policy of the early 20 th century in Georgia? 3) Under the Russification language policy in Georgia, in what directions was the protection of the Georgian language provided?

Such an approach to the problem will show us what measures were taken by the founders of the Georgian émigré press in terms of exposing the educational policy of Russification, forming a healthy public opinion and protecting the Georgian language, more specifically, how the Georgian newspaper “Sakartvelo”, published in Paris in 1903-1905, responded to this problem.

Keywords: language policy, émigré press, Russification, Georgian language, “immersion method”.

ირინე ჩაჩანიძე

ფილოლოგიის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. #59, 4600, საქართველო,
+ 995593754447, ir.chachanidze@gmail.com
<https://orcid.org/0009-0007-4963-8995>

¹ This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [FR-22-21517].

² კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (SRNSFG) [FR-22-21517].

თამარ გუჩუა

ფილოლოგიის დოქტორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,

ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. #59, 4600, საქართველო,

+ 995593410918, me.tamuna@gmail.com

აბსტრაქტი. რუსიფიკაცია კულტურული ასიმილაციის ის კერძო შემთხვევაა, როდესაც პატარა ერები ექცევიან რუსული ენისა და კულტურის გალენის ქვეშ (Weinreich, 1953; Thaden, 1981; Weinerman, 1996; Kappeler, 2004; Jones, 2005; Miller, 2008; Weeks, 2010). მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ნორმები ვრცელდებოდა დაპყრობილ და იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

წინამდებარე კვლევის მიზანია, რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკის პრობლემების კვლევა საქართველოს მაგალითზე. ემპირიულ მასალად წარმოდგენილია XX საუკუნის დასაწყისის ემიგრაციის ქართულ გაზეთ „საქართველოს“ ციფრული კორპუსი. სათანადო საილუსტრაციო მასალის გამოვლენითა და სოციოლინგვისტიკური ანალიზის მეთოდით წარმოდგენილია მსჯელობები შემდეგი შეკითხვების გარშემო: 1) რამდენად იყო მზად საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობა სკოლებსა და სასულიერო განათლების სფეროში მიეღო რუსული ენა? 2) საქართველოს XX საუკუნის დასაწყისის რუსიფიკატორულ ენობრივ პოლიტიკაში რამდენად გამართლებული იყო სწავლების „მუნჯური მეთოდი“? 3) საქართველოში რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკის პირობებში რა მიმართულებებით ხორციელდებოდა ქართული ენის დაცვა?

პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა დაგვანახებს რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკის მხილების, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და ქართული ენის დაცვის თვალსაზრისით რა ზომები იქნა მიღებული ქართული ემიგრაციის პრესის დამფუძნებლების მიერ, კონკრეტულად, როგორ ეხმიანებოდა ამ პრობლემას 1903-1905 წლებში პარიზში გამოცემული ქართულენოვანი გაზეთი „საქართველო“.

საკვანძო სიტყვები: ენობრივი პოლიტიკა, ემიგრაციის პრესა, რუსიფიკაცია, ქართული ენა, „მუნჯური მეთოდი“.

შესავალი. რუსიფიკაცია გულისხმობს რუსეთის იმპერიის მიერ ეროვნული უმცირესობების გარუსებისკენ მიმართულ პოლიტიკას არარუსი ხალხის მიერ რუსული ენისა და კულტურის მიღებას ასიმილაციის პროცესის გზით (ჯანელიძე, 2008). რუსიფიკაციის ფენომენს დასავლურ პოლიტიკურ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მიდგომები და სპეციალური გამოკვლევები მიეძღვნა (Weinreich, 1953; Kappeler, 2004; Miller, 2008). Eli Weinerman განასხვავებს პოლიტიკურ, ენობრივ, რელიგიურ, კულტურულ და ეთნიკურ რუსიფიკაციას (Weinerman, 1996).

რუსიფიკაციის ეპოქა 1863 წელს პეტერბურგში „იანერის აჯანყების“ ჩახშობიდან დაიწყო. თუმცა, მისი ფესვები შეიძლება მივაკუთვნოთ ნიკოლოზ I-ის მეფობის პერიოდს, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა რუსული ენის გამოყენებას ფრანგულის ნაცვლად შიდა სამთავრობო მიმოწერებისათვის (Riasanovsky, 2005, p. 191).

თეოდორ უიქსის განმარტებით, 1863 წლიდან „ნაციონალური პოლიტიკა“ გაგებულია, როგორც „რუსიფიკაცია“. ეს ტერმინი ხშირად განსხვავებულად არის განმარტებული, ამიტომ აქ გარკვეული ახსნა-განმარტება არის საჭირო. რუსეთის მთავრობა იშვიათად ცდილობდა არარუსი ხალხის „დენაციონალიზაციას“, უფრო მეტიც, პოლიტიკა მიზნად ისახავდა არალოიალობის დასჯას, არეულობის თავიდან აცილებას, ცენტრალიზაციას და რუსულის,

როგორც „ლინგვა ფრანკას“ გავრცელებას. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებით წარმატებით დაიწყო „რუსიფიკაცია“, რომელიც არარუსი ხალხის თვალსაზრისით, მათ ენაზე განათლების შეზღუდვა, მკაცრი ცენზურა ან ცალკეულ ენებზე გამოცემის აკრძალვაც კი მათ კულტურასა და ერზე პირდაპირ თავდასხმად მიიჩნეოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს რუს ადმინისტრატორებს ნაკლებად აინტერესებდათ არარუსული კულტურისა და ენების განვითარება, რომელსაც ყურადღების ღირსადაც არ თვლიდნენ (Weeks, 2010, p. 98).

ედუარდ ტედენმა გამოავლინა რუსიფიკაციის სამი განსხვავებული სახეობა: დაუგეგმავი, ადმინისტრაციული და კულტურული. დაუგეგმავი რუსიფიკაცია გულისხმობს მეტ-ნაკლებად ნებაყოფლობით არარუსი ხალხის მიერ რუსული ენისა და კულტურის მიღებას გაბატონებულ ნორმებთან კულტურული ასიმილაციის პროცესის გზით. ადმინისტრაციული რუსიფიკაცია კი წარმოადგენს რუსეთის იმპერიული ბიუროკრატის მზარდ ცენტრალიზაციას, რომელიც მიმდინარეობდა ნიკოლოზ პირველის მეფობის პერიოდიდან. ცენტრალიზაცია და „სტანდარტიზაცია“ რუსეთის იმპერიაში გარდაუვლად გულისხმობდა რუსიფიკაციის ძლიერ ხარისხს, რადგან რუსული იყო იმპერიული ბიუროკრატის ენა და, შესაბამისად, ყველა სხვა ენაზე მეტად უპირატესობა ენიჭებოდა. დაბოლოს, კულტურული რუსიფიკაცია გულისხმობს მიზანმიმართულ პოლიტიკას არარუსი ხალხის კულტურულად ასიმილაციის მცდელობისას, სხვა არარუსებისგან რუსების გამოყვანას (Thaden, 1981).

რუსეთი იყო იმპერიის პოლიტიკური ცენტრი და სწორედ აქ შემუშავებული კანონები და ნორმები ვრცელდებოდა იმპერიის შემადგენლობაში მყოფ დანარჩენ ქვეყნებში, მათ შორის ანექსირებულ საქართველოშიც. რუსიფიკატორული პოლიტიკა საქართველოში სამი მიმართულებით წარიმართა: ა) პოლიტიკური, ბ) ეკონომიკური და გ) კულტურული. რუსეთი ამ სამივე მიმართულებით იპყრობდა ქვეყანას: პოლიტიკურად - იარაღით, ეკონომიკურად - წარმოების კოლონიზაციით, კულტურულად - განათლების რუსიფიკაციით. საქართველო იმპერიის შემადგენელ ნაწილად ქართველი ხალხის გარუსებით უნდა ქვეულიყო, ჩანაფიქრის განხორციელება კი სკოლებიდან დაიწყო. სასწავლო გეგმებიდან სრულად განიდევნა მშობლიური ქართული ენა და ჩანაცვლდა რუსულით (ჭუმბურიძე, 2008, გვ. 301).

XX საუკუნის დასაწყისი საქართველოში რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მწვავე და გარდამავალი პერიოდი, რომელსაც თან სდევდა დაუსრულებელი პაექრობანი და ამიტომაც, შეიძლება მას ერთი „მიკროეპოქაც“ ეწოდოს.

მეთოდები. სტატიის მიზანია, საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში ენობრივი პოლიტიკის პრობლემატიკის კვლევა. ემპირიულ ბაზად გამოყენებულია გაზეთ „საქართველოს“ ციფრული კორპუსი. კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება საილუსტრაციო მასალის გამოვლენასა და სოციოლინგვისტიკური ანალიზის მეთოდით პასუხების ძიებას შემდეგ შეკითხვებზე: 1) რამდენად იყო მზად საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობა სკოლებსა და სასულიერო განათლების სფეროში მიეღო რუსული ენა?; 2) საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში რამდენად გამართლებული იყო სწავლების „მუნჯური მეთოდი“?; 3) ენობრივი პოლიტიკის პირობებში რა მიმართულებებით ხორციელდებოდა ქართული ენის დაცვა?

პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა შესაძლებლობას მოგვცემს, ისტორიულ ჭრილში დავინახოთ ქართული ენის წინაშე გაჩენილი საფრთხეები: 1) როგორი წნეხის ქვეშ უწევდა ქართულ ენას ფუნქციონირება და 2) როგორი რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკა ტარდებოდა განათლების სისტემაში. ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიული რეჟიმისთვის ენა იყო ის იარაღი, რომლითაც ცდილობდა დაპყრობილ ტერიტორიებზე მაცხოვრებელთა ასიმილაციას.

შედეგები. საზოგადოებრივ მოძრაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკის მხილებას, მისი არსისა და ბუნების გარკვევას, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნას. ამ მიზნით, ფართოდ იყო გამოყენებული

პროგრესული მიმართულების პრესა. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია, მწერლები, პუბლიცისტები, საზოგადო მოღვაწეები, პედაგოგები გაბედულად გამოდიოდნენ პრესაში სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციის ისეთი პირების წინააღმდეგ, რომელიც ქართველი ხალხის, მისი ენისა და კულტურის განადგურებისკენ იყვნენ მიმართული. ასეთებია: იანოვსკი, პობედონოსცევი, ვოსტორგოვი და სხვები. მშობლიური ენის დაცვისა და მისი მნიშვნელობის განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა XX საუკუნის ქართული ემიგრაციის პრესამ, მათ შორის გაზეთმა „საქართველო“.

მსჯელობა.

რუსიფიკაცია საქართველოში და ქართული ემიგრაციის პრესა

ქართული ენის სახელმწიფოებრივ ფუნქციას პირველად XIX საუკუნეში დაემუქრა საფრთხე, როდესაც 1801 წლიდან საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა: რუსეთის იმპერიამ მოახდინა მისი სრული ანექსია; საქართველო გახდა რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი და ქართული ენის ბედი რუსეთის ენობრივი პოლიტიკის ხელში ჩავარდა. აქედან მოყოლებული, საქართველოში ოფიციალური საქმისწარმოების, განათლების, სასამართლოს, ღვთისმსახურების ენა გახდა რუსული. რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა, სკოლებში სწავლება შემოიღო რუსულ ენაზე, გააღვივა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთა ეთნიკური და ეროვნული კონფლიქტები და ა. შ.

ქართული პრესა, რომელიც ქართველი ერის ინტერესებს იცავდა, 1917 წლამდე სასტიკად იდევნებოდა მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის რეჟიმის ცენზურის მიერ. ასეთი მკაცრი პირობების მიუხედავად, მაინც ხერხდებოდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების ქადაგება, მაგრამ ძირითადად მაინც იზღუდებოდა და ილახებოდა დემოკრატიული პრესის პრინციპები. ამიტომ ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები რუსიფიკატორული პოლიტიკის წნეხის ქვეშ მოქცეული საქართველოს გადარჩენისათვის ცდილობდნენ დასავლეთ ევროპაში (პარიზი, ჟენევა, ბერლინი) ისეთი ქართული ჟურნალ-გაზეთების დაარსება-გამოცემას, რომელშიც რუსეთის იმპერიის ცენზურისაგან შეუზღუდავად დაბეჭდვდნენ და გაავრცელებდნენ ქართველი ხალხის მიზნებსა და იდეალებს.

ასე შეიქმნა და ჩამოყალიბდა რევოლუციამდელი (1917 წ.) ქართული ემიგრაციის პრესა, რომელიც სულ ოთხ პერიოდულ გამოცემას შეიცავდა. ესენია:

1. „დროშა“. 1873 წელი, ჰექტოგრაფიული გაზეთი, პარიზი, რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე.
2. „საქართველო“, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო, 1903-1905 წლები, პარიზი, რედაქტორები: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, თედო სახოკია, გამომცემელი გიორგი დეკანოზიშვილი; გამოდიოდა გაზეთის ორეულიც: „La Géorgie“.
3. „თავისუფალი საქართველო“, 1913-1914 წლები, ეროვნული მიმართულების ყოველთვიური ჟურნალი, რედაქტორი პეტრე სურგულაძე, ჟენევა.
4. „ქართული გაზეთი“, ქართული ეროვნული პარტიის ევროპის კომიტეტის ორგანო, 1916-1918 წლები, ბერლინი, რედაქტორები: ლეო კერესელიძე, გიორგი კერესელიძე.

გაზეთი „საქართველო“

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საგანმანათლებლო რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკის საკითხები საქართველოში განსაკუთრებით ვრცლად და დეტალურად არის გაშუქებული გაზეთში „საქართველო“. წინამდებარე შრომისთვის საანალიზოდ სწორედ აღნიშნულ პერიოდულ გამოცემაში წარმოდგენილი ენობრივი პოლიტიკის საკითხებია შერჩეული.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გაზეთი „საქართველო“ დაარსდა 1903 წელს პარიზში და იარსება 1905 წლის ჩათვლით. გაზეთის მთავარი რედაქტორი იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი არჩილ ჯორჯაძე, ხოლო გამომცემელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი გიორგი დეკანოზიშვილი,

რომელმაც მაშინვე გაავრცელა გაზეთი ევროპის ქვეყნებში და საზოგადოებას გააცნო საქართველო, ქართველი ხალხი და ქართული კულტურა. საგაზეთო მუშაობაში აქტიურად ჩაებნენ საფრანგეთში მყოფი საზოგადო მოღვაწეები და პოლიტიკოსები თედო სახოკია, ზურაბ ავალიშვილი, ნოე ჟორდანიას და სხვები (შარაძე, 2001, გვ. 25).

ღირსსაგნობია, რომ თავდაპირველად, 1901 წლიდან მომავალი სოციალისტ-ფედერალისტები არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი და გიორგი დეკანოზიშვილი სათავეში ჩაუდგნენ საქართველოში გამომავალ გაზეთ „ცნობის ფურცელს“, რომლებმაც შემდგომში თავიანთი ბედი უცხოეთს დაუკავშირეს. საქართველოში „ცნობის ფურცელი“, ხოლო უცხოეთში „საქართველო“ ერთი იდეებისა და მისწრაფებების გაერთიანებულ პერიოდულ ორგანოებს წარმოადგენდა (შარაძე, 2001, გვ. 29). აქედან გამომდინარე, ლოგიკურად იყო, რომ ორივე ორგანო მსგავსი ხასიათის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ხასიათის წერილებს აქვეყნებდა და მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო კორესპონდენციებს საგანმანათლებლო ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით.

გაზეთ „საქართველოს“ დიდი დამსახურება იყო ის, რომ მან პირველად გაიტანა და დასვა ევროპაში ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების საკითხი. ქართული პრობლემის პოპულარიზაციისა და ევროპის დემოკრატიული საზოგადოების ყურადღების მიზნით არჩილ ჯორჯაძემ, გიორგი დეკანოზიშვილმა და მათ თანამებრძოლებმა პარიზშივე გამოსცეს გაზეთ „საქართველოს“ ფრანგულენოვანი ვარიანტი „La Géorgie“, რომლის მთავარი რედაქტორი გახლდათ რენო, ხოლო მის გამოცემასა და მომზადებაში მონაწილეობდა გიორგი დეკანოზიშვილის მეუღლე ანრიეტა ფრენუა. მასში „საქართველოში“ დაბეჭდილ და ქართულიდან თარგმნილ მასალებთან ერთად ქვეყნდებოდა ფრანგი და სხვა დასავლეთ ევროპელი პოლიტიკური მოღვაწეების წერილები და გამოხმაურებანი (შველიძე, 1993, გვ. 114).

რუსიფიკაცია ქართულ სკოლებში

ენობრივი განათლების პოლიტიკა (Language Education Policy) არის ენობრივი პოლიტიკის ფორმა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია პოლიტიკური იდეოლოგიების პრაქტიკაში დანერგვა (Tannenbaum & Shohamy, 2023, p. 10). ენობრივი განათლების პოლიტიკა შეიძლება იყოს ღია ან ფარული, ან თუნდაც შეიცავდეს ორივეს ელემენტს. ღია ენობრივი განათლების პოლიტიკის მაგალითი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს, რა უნდა ისწავლებოდეს, რამდენ ხანს და სწავლების რომელი მეთოდოლოგიები და მასალები უნდა იქნას გამოყენებული. ეროვნული სასწავლო გეგმა ხშირად ფორმდება ოფიციალურ დოკუმენტში და ნაწილდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში. თუმცა, პროგრამას შეიძლება ჰქონდეს ფარული ასპექტები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს ზოგიერთი საგნის ან ენის გამორიცხვას ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური იდეოლოგიებიდან გამომდინარე.

ენობრივი განათლების პოლიტიკა არის ძლიერი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ენობრივი ქცევა ხდება დაწესებული განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ენა სავალდებულო გახდა მთავრობის ან განათლების ხელისუფლების მიერ (Shohamy, 2006, p. 76). ენობრივი განათლების პოლიტიკა ადგენს, თუ რომელი ენები უნდა ისწავლებოდეს, ისწავლონ და გამოიყენონ საზოგადოებაში. შოჰამი მიიჩნევს, რომ ენობრივი განათლების პოლიტიკა შეიძლება გამოიყენოს ხელისუფლებამ მოსახლეობისგან ენის ლოიალობის, პატრიოტიზმის გრძნობისა და კოლექტიური იდენტობის დემონსტრირების მიზნით. მეორე მხრივ, ენობრივი განათლების პოლიტიკის მანიპულირება შესაძლებელია ქვემოდან ზემოთ; სპოლსკი (2004) აღნიშნავს, რომ ხშირად არის უფსკრული იმ ენებს შორის, რომლებსაც ბავშვი სწავლობს საუბარს სახლში და იმ ენებს შორის, რომლებიც შემოთავაზებულია ქვეყნის განათლების სისტემაში.

ენობრივი პოლიტიკა რუსიფიკაციის მიმართულებით წარიმართა მე-19 საუკუნის შუა ხანებში ალექსანდრე II-ის დროს, რომლის ადმინისტრაცია მიზნად ისახავდა იმპერიის გაერთიანებას მთელი რიგი ღონისძიებებით, მათ შორის რუსულის გავრცელებით. 1863 წლის პოლონეთის აჯანყების შემდეგ, რუსული ენა გამოცხადდა პოლონეთის სამეფოს ოფიციალურ

ენად. 1872 წლისთვის იქ მთელი საერო განათლება რუსულ ენაზე იყო; 1873 წლის დადგენილებით მსგავსი ზომები იქნა მიღებული უკრაინული, ბელორუსული, მოლდოვური, ლიტვური და გერმანული ენების გამოყენების შეზღუდვის მიზნით. კავკასია და მათ შორის საქართველოც განათლების გზით რუსიფიკაციის სამიზნე გახდა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას რუსული ენის შესწავლა ევალებოდა (Laitin, 1998). რუსიფიკატორული პოლიტიკის ამ მიზანმიმართულ ღონისძიებას ემსახურება ქართული ემიგრაციის გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „მთავრობა ხდის სკოლას პოლიტიკის და არა განათლების იარაღად, შემოაქვს რუსული ენა ფინლანდურ, პოლონურ, ქართულ და სომხურ სკოლებში იმიტომ, რომ მთავრობის აზრით, პეტერბურგსა, ვარშავასა, ჰელსინგფორსსა, ტფილისსა და ერზიმიში ერთი ხალხი უნდა სცხოვრობდეს და ეს ხალხი რუსები უნდა იყვნენ“ (საქართველო, 1903, #3).

რუსიფიკაციის ძირითად პოლიტიკას წარმოადგენდა დაწყებით, საშუალო და უმაღლესი განათლების დაწესებულებებში ადგილობრივი ენების რუსულით ჩანაცვლება. ეს პოლიტიკა არ იყო თანმიმდევრულად გამოყენებული მთელ იმპერიაში, პირიქით, ერთის მხრივ, არსებობდა მრავალი წინააღმდეგობა და შეუსაბამობა კანონებსა და პოლიტიკას შორის, მეორეს მხრივ, კონკრეტულ ზომებს შორის, რომელსაც მოჰყვა წინააღმდეგობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არის შედარებით ნაკლები წყაროები რუსეთის იმპერიის ენობრივი პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ, ბოლო წლებში გამოჩნდა საბჭოთა ეპოქის პოლიტიკის რამდენიმე ახალი კვლევა (ალპატოვი, 2000; გრენობლი, 2003; სმიტი, 1998), რომლებიც ავსებენ ამ დანაკლისს.

1860-იანი წლებიდან მოყოლებული რუსეთის იმპერიამ საქართველოში რუსიფიკაციის პოლიტიკის სისტემური გატარება დაიწყო. საუკუნის ბოლო ათწლეულების განმავლობაში კავკასიის სასწავლო კომიტეტის უფროსი კირილე იანოვსკი თავდაუზოგავად იბრძოდა ქართული ენის გასაძვევლად სკოლებიდან და ადმინისტრაციული ორგანოებიდან (Jones, 2005, p. 9). ამასთან დაკავშირებით, XX საუკუნის დასაწყისის ემიგრაციის ქართულ პრესაში აქტიურად შუქდებოდა საკითხი საერო და სამრევლო სასწავლებლებში ქართული ენის განდევნის შესახებ. ამის დასტურად საყურადღებოა ობერ-პროკურორის კონსტანტინე პობედონოსცევის მიერ საქართველოს ეგზარხოსის პავლე ლეხეძევისადმი მიწერილი წერილი, რომელიც გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა სათაურით „რუსეთის მთავრობა ჩვენზედ რას ჰფიქრობს“: „ქართული სკოლა უნდა იყოს იარაღი მხოლოდ რუსული ენისა და არა ცოდნის გავრცელებისათვის; საჭიროა ქართველთა ერის განცალკავება და საქართველოს პროვინციებში სამეგრელოსა, სვანეთსა და აფხაზეთში ქართული ენის სახსენებელი გაწყდესო“ (საქართველო, 1903, #2).

ნიშანდობლივია, რომ „საქართველოს“ ფრანგულენოვან „La Géorgie“-ს 1903 წლის N1 ნომერში გამოქვეყნებულია პობედონოსცევის წერილის სრული ვერსია სათაურით „საქართველოს რუსიფიკაცია, პობედონოსცევის ავთენტური წერილი“ („Russification de La Géorgie, lettre authentique de Pobedonostsef“), რომელიც მიზნად ისახავდა სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან ქართული ენის სრულად განდევნას და მის ნაცვლად რუსული ენის გავრცელებას.

საგანმანათლებლო რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება საქართველოში ჯერ კიდევ 1801 წლიდან დაიწყო, მაგრამ მან თავისი უკიდურესი გამოვლინება 80-იანი წლების დასაწყისიდან ჰპოვა. სისტემამ თავისი მოღვაწეობა დაიწყო შეტევით ქართული ენის წინააღმდეგ და ამოცანად დაისახა ქართული ენისა და ქართული კულტურის მთლიანად განდევნა სკოლებიდან. ქართული ენის სწავლება სკოლებში, იმ მცირე საათების ფარგლებშიც კი, რაც მას ჰქონდა დათმობილი, აფერხებდა და ხელს უშლიდა რუსული ცივილიზაციის გავრცელებას საქართველოში, ე. ი. გარუსების პოლიტიკის განხორციელებას.

XIX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში იანოვსკის რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო დოკუმენტია კავკასიის სასწავლო ოლქის 1881 წლის სასწავლო გეგმა,

რომელიც გამოიცა ცალკე წიგნად (Учебный план начальной школы – в среде туземного населения и о постановке в ней русского языка. Тифлис, 1881.) და დაეგზავნა სამინისტრო სკოლებს უპირობოდ შესასრულებლად. გეგმის დედააზრი დაწყებითი სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნა და მთელი სასწავლო პროცესის რუსულ ენაზე დაფუძნება იყო. გეგმის მიხედვით, დაწყებითი სკოლები მხოლოდ პირველ წელს ყველა საგანს სწავლობენ მშობლიურ ენაზე, მეორე წელს-სანახევროდ მშობლიურ და რუსულ ენებზე, ხოლო მესამე წელს საგნის სწავლება რუსულ ენაზე ტარდებოდა. მესამე წლიდან საქართველოს სკოლებიდან ქართული ენა მთლიანად იდევნებოდა და ცალკე დისციპლინადაც არ ისწავლებოდა.

საბოლოო ანგარიშში იანოვსკისა და მეფის მოხელეების შეხედულებით, სწორედ სკოლა უნდა გამხდარიყო ადგილობრივი ერების გადაგვარებისა და მათი გარუსების მძლავრ იარაღად. ამას, რასაკვირველია, გრძნობდნენ და ახორციელებდნენ მისი წინაპრებიც საქართველოში, მაგრამ იანოვსკის დამსახურება ცარიზმის წინაშე იმაში გამოიხატა, რომ მან სხვებზე მტკიცედ და სისტემატურად დაიწყო საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება (ხუნდაძე, 1939, გვ. 37).

იანოვსკის პირველ ნაბიჯს მალევე მოჰყვა უფრო მკაცრი რეაქცია, რომელიც 1881 წლის სასწავლო გეგმის გაუქმებით და ქართული ენის კიდევ უფრო შეზღუდვით გამოიხატა. კავკასიის სასწავლო ადმინისტრაციამ სრულიად განდევნა სამეგრელოსა და სვანეთის საერო და სამრევლო სკოლებიდან ქართული ენა, რომელიც გამოცხადებული იყო არამშობლიურ ენად. აქედან გამომდინარე, მასწავლებლები, რომლებიც ქართულს უპირატესობას ანიჭებდნენ, სწავლის პროცესში ევალებოდათ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ მეგრული და სვანური ენებისთვის. სწორედ ამ მოვლენას ემსახურებოდა პოპედონოსცევის უკმაყოფილო წერილი, რომელიც ემიგრაციის პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა: „რადგან სკოლების ზედამხედველნი და მასწავლებელნი ქართველნი არიან, რასაკვირველია, უმთავრეს ყურადღებას ქართულ ენას აქცევენ. ვიდრე სვანეთსა და სამეგრელოში პირველდაწყებით და სამრევლო სკოლებს გახსნიდნენ, საჭირო იყო სამღვთო წიგნების გადათარგმნა სვანურ და მეგრულ ენაზედ, საჭირო იყო ღვთის-მსახურების შემოღება ამ ენებზე, და ამ ენების საშუალებით რუსულ ენის შესწავლა ისე, როგორც საერო სკოლებშია“ (საქართველო, 1903, #2).

როგორც ვხედავთ, კავკასიის სასწავლო ადმინისტრაცია ცდილობდა ქართული ენა მეგრულითა და სვანურით შეეცვალა საერო და სამრევლო სკოლებში და ამ გზით უზრუნველყო თავისი საბოლოო მიზნის განხორციელება. ეს რუსიფიკატორული ღონისძიება ემსახურებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა გათიშვის საქმეს და მიმართული იყო ქართველი ერის კონსოლიდაციის წინააღმდეგ, რომელსაც ამავე გაზეთის რუბრიკაში „ქართულ ცხოვრების მატთანე“ ვკითხულობთ: „ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი პოპედონოსცევის წერილიდამ აშკარად სჩანს, მთავრობის წადილია ქართველთა ტომის განცალკავება და ერთმანეთისაგან დაშორება“ (საქართველო, 1903, #4).

ნიმანდობლივია, რომ ქართული ენა და ქართულ ენაზე სწავლება შემორჩა მხოლოდ საეკლესიო უწყების სკოლებში, კერძოდ, სამრევლო სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართლ-კახეთის საეპარქიო სკოლის მეთვალყურემ, დეკანოზმა იოანე ვოსტორგოვმა 1901 წლიდან შემოიღო ახალი სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით ქალაქის ყველა სამრევლო სკოლაში, პირველი წლიდანვე, ნაცვლად მშობლიური ენისა, სწავლება რუსულ ენაზე იწყებოდა. მან დიდი როლი შეასრულა სამეგრელოსა და სვანეთის სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის განდევნის საქმეში და სცადა მეგრულ და სვანურ ენებზე შემოეღო რელიგიის სწავლება, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია (Sigua, 1959, p. 17). ამ ფაქტს ეხმაურება ქართული ემიგრაციის პრესა სათაურით „ვოსტორგოვი და ჩვენი გათახსირება“, რომელიც ერთ-ერთ აქტუალურ და საჭირობოროტო საკითხად ითვლებოდა იმდროინდელი საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში: „დღეს ვოსტორგოვი საქმეს მეორეს მხრით შემოუარა და განიზრახა იმავე მიზნის მიღწევა სხვა გზით: გამოდევნა სამეგრელოს და სვანეთის სამრევლო სკოლებიდან ქართული ენა იმ მოსაზრებით, რომ რაკი

ქართული წერა-კითხვა არავის ეცოდინებოდა, სამღვდლოებაც დაივიწყებს ქართულს წერა-კითხვას, მაშინ ეკლესიიდანაც ადვილი გამოსადევნი იქმნება ქართულიო“ (საქართველო, 1903, #5).

ფრანგულენოვანი გაზეთი „La Géorgie“ 1903 წლის N4 ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში სათაურით „l'oeuvre de Vostorgof“ გვაწვდის ინფორმაციას ქართული ენის წინააღმდეგ ვოსტორგოვის მავნებლური საქმიანობის შესახებ. გაზეთში „საქართველო“ დაისვა საკითხი ვოსტორგოვისა და ოფიციალური რეაქციული რუსული პედაგოგიის მავნებლური საქმიანობის წინააღმდეგ: „ვეცდებით ვაუწყოთ ევროპის საზოგადოებას ამგვარი რუსეთის სამეცნიერო პედაგოგია და ვეჭვობთ, რომ ასეთმა ვოსტორგოვის მეცნიერებამ ძალიან ასწიოს ევროპაში რუსეთის პრესტიჟი, რომელიც ასე ძვირფასია მისთვის“ (საქართველო, 1904, #9).

1905 წლის „საქართველოს“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული წერილი გვაწვდის ცნობებს გურია-სამეგრელოს სკოლების საეპარქიო მეთვალყურედ დანიშვნის შესახებ: „გურია-სამეგრელოს სკოლების საეპარქიო მეთვალყურედ დანიშნა იმერეთის ყოფილი საეპარქიო მეთვალყურე ვასილიევი, რომელმაც ერთი სიტყვაც არ იცის ჩვენის ენისა. ცხადია, ვასილიევი იმიტომ არ არის დანიშნული ამ მხარეში, რომ სწავლა-განათლებისათვის იზრუნოს, - უქართულენოდ მეთვალყურის მოქმედება ტყუილა წყლის ნაყვა იქნება“ (საქართველო, 1905, #20).

ქართული ინტელიგენციის ბრძოლას ქართული ენის სწავლების შემოღებისათვის წარმატება არ მოჰყოლია. ასე მაგალითად, ფოთის ქალაქის საბჭომ 1894 წლის 2 დეკემბერის სხდომაზე განიხილა სამეგრელოს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების შემოღების საკითხი. ამასთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის თავის ნიკო ნიკოლაძე შუამდგომლობს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე და თხოვნით მიმართავს, გასცეს სათანადო განკარგულება, რათა საქალაქო სასწავლებელში მომავალი აკადემიური წლის დასაწყისიდან დააწესოს ქართული ენის სავალდებულო სწავლება ადგილობრივი ბავშვებისათვის (სიგუა, 1959, გვ. 54).

სწავლების „მუნჯური მეთოდი“

უცხო ენების სწავლების მეთოდოლოგიის ისტორიამ განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა. ერთ-ერთი გახლდათ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული, პირდაპირი, ანუ ბუნებრივი, ე.წ. „მუნჯური მეთოდი“, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში, რუსეთსა და მათ შორის, საქართველოში. პირდაპირ მეთოდს საფუძვლად მოსწავლეთა მიერ მშობლიური ენის ათვისების პროცესი უდევს, შესაბამისად, პირდაპირი მეთოდით სწავლებისას, არსებობს მშობლიური ენის აბსოლუტური გამორიცხვა.

ფრანსუა გუენი იყო მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი პირველი რეფორმატორი, ვინც ცდილობდა შეექმნა მეთოდოლოგია ბავშვების ენის სწავლაზე (Gouin, 1892). საუკუნის ბოლოს სხვა რეფორმატორებმაც ასევე მიაქციეს ყურადღება ენის სწავლის ნატურალისტურ პრინციპებს და ამ მიზეზით მათ ზოგჯერ „ბუნებრივი“ მეთოდის (Direct Method) დამცველებად მოიხსენიებენ. მათ შორის, ვინც მე-19 საუკუნეში ენის გაკვეთილებზე ბუნებრივი პრინციპების გამოყენებას ცდილობდა, იყო ლამბერტ სოვეური (1826–1907), რომელიც იყენებდა ინტენსიურ ზეპირ ინტერაქციას სამიზნე ენაზე, იყენებდა კითხვებს, როგორც ენის წარმოდგენისა და გამოწვევის საშუალებას. მან გახსნა ენის სკოლა ბოსტონში 1860-იანი წლების ბოლოს და მის მეთოდს მალევე უწოდეს ბუნებრივი მეთოდი (Sauveur, 1874). სოვეური და ბუნებრივი მეთოდის სხვა მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ უცხო ენა შეიძლება ისწავლებოდეს თარგმანის ან მოსწავლის მიერ მშობლიური ენის გამოყენების გარეშე, თუ მნიშვნელობა პირდაპირ გადმოიცემა დემონსტრირებისა და მოქმედებების გზით (Richards & Rodgers, 2001, p. 11).

ცნობილია გერმანელმა ენათმეცნიერმა და პედაგოგმა მაქსიმილიან დელფინიუს ბერლიცმა (Maximilian Delphinus Berlitz) 1878 წელს როდ აილენდის შტატში დაიწყო ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლება. გავრცელებული ცნობის თანახმად, ერთმა

შემთხვევამ ხელი შეუწყო სწავლების ახალი მეთოდის შემუშავებას. ბერლიცი ავად გახდა და ფრანგ კოლეგას სთხოვა ჩაეტარებინა გაკვეთილი. კოლეგამ თითქმის არ იცოდა სალაპარაკო ინგლისური, თუმცა, მან ინტუიციურად იპოვა მოსწავლეებისთვის ინფორმაციის გადაცემის გზა და შეძლო სიტყვების თარგმნა მშობლიური ენის გამოყენების გარეშე. წარმატებული ცდის შედეგად, ბერლიცმა და მისმა კოლეგამ საფუძველი ჩაუყარეს უცხო ენის სწავლების „პირდაპირ მეთოდს“ (Direct Method), რომელიც მოგვიანებით საყოველთაოდ ცნობილი გახდა, როგორც „ბერლიცის მეთოდი“ (Berlitz, 1916, p. 10).

ბერლიცის მეთოდმა დიდი წარმატება მოიპოვა მდიდარ მაღალმოტივირებულ კლიენტებს შორის, თუმცა მისი დანერგვის მცდელობებმა საშუალო სკოლაში სასურველი შედეგი არ მოიტანა, რადგან ის არ ითვალისწინებს სასკოლო განათლების რეალობას და არ გააჩნია მკაცრი მეთოდოლოგიური საფუძველი. გარდა ამისა, პირდაპირ მეთოდს აქვს მთელი რიგი უარყოფითი მხარეები: ყველა მასწავლებელი, ვინც მშობლიურ ენას ფლობს, არ არის საკმარისად პროფესიონალი და შესაბამისად, არ შეუძლია დაიცვას მეთოდოლოგიური პრინციპები და მათ ხშირად უწევთ ვრცელი ახსნა-განმარტების მიცემა, როდესაც გაცილებით ეფექტური იქნებოდა ლაკონური პასუხი მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე.

საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში „მუნჯური მეთოდის“ რაობასა და გამოუსადეგრობაზე აქვეყნებს ვრცელ წერილს 1904 წლის „ცნობის ფურცელი“ სათაურით „მუნჯური მეთოდი“: „ჩვენსა და საზოგადოდ არა რუსთა სკოლებში ამ ბოლო დროს ფეხი მოიკიდა და თითქმის გაბატონდა ეგრედ წოდებული „ბუნებრივი“ ანუ, უკედ რომ ვსთქვათ, არა ბუნებრივი, მუნჯური მეთოდი სწავლებისა. მუნჯური იმიტომა ჰქვია, რომ მასწავლებელს და მოსწავლეებს უფლება არა აქვთ ერთმანეთში იმ ენაზე ისაუბრონ, რომელიც ორივესათვის გასაგებია“ (ცნობის ფურცელი, 1904, #2652).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „მუნჯური მეთოდის“ ვარგისიანობას სამართლიანად აფასებს 1913 წლის #2 ნომრის ჟურნალი „განათლება“: „ეს მეთოდი არაა ახალი კავკასიაში. მას 30 წლის ისტორია აქვს... მაგრამ ამ მეთოდმა ვერ მოიპოვა თანაგრძნობა და ვერც გავრცელდა, რადგან მას თან ახლდა მრავალ-რიცხოვანი ხელოვნურობა. ეს მეთოდი ჯერ არაა შემუშავებული. ის გამოსადეგია გამოუცდელი მასწავლებლის ხელში, ხოლო გამოცდილი მასწავლებელი კი მის მეოხებით ვერავითარს სარგებლობას ვერ მიაღწევს“ (განათლება, 1913, #2).

სწავლების ცალკეული მიდგომები და მეთოდები განსხვავდება იმით, თუ როგორ განიხილავენ ისინი ამ საკითხებს მე-19 საუკუნის ბოლოდან დღემდე, როგორც ვხედავთ, პირდაპირი მეთოდი შეიძლება ჩაითვალოს ენის სწავლების პირველ მეთოდად, რომელმაც მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება და ენის სწავლება ახალ ეპოქაში გადაიყვანა. ეს იყო „მეთოდების ეპოქის“ დასაწყისი (Richards & Rodgers, 2001, p. 12).

XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში დაიწყო კიდევ ერთი ანტიპედაგოგიური, უკიდურესად რეაქციული რუსიფიკატორული ღონიძიების გატარება განათლების სფეროში. ეს გახლდათ ე. წ. „მუნჯური მეთოდის“ დანერგვა სკოლებში, რომლის ორგანიზატორი იყო ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ლევიტსკი. ამასთან დაკავშირებით, ქართული პედაგოგიკის მკვლევარი და ისტორიკოსი ტროფიმე ხუნდაძე აღნიშნავს, რომ „მუნჯური მეთოდი“, რომელმაც XIX საუკუნის ქართული საზოგადოება ასე ააღელვა, კახეთის სკოლებში, ზოგადად თბილისის გუბერნიაში, არ გავრცელდებულა. მისი ინიციატივა ეკუთვნოდა ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორს - ლევიტსკის და ამ გუბერნიაში გავრცელდა. თბილისის გუბერნიის სკოლების დირექტორმა - სტრელეცკიმ ის სავალდებულოდ არ ჩათვალა და არ გაავრცელა თავის ქვემდგომ უწყებაში“ (ხუნდაძე, 1951, გვ. 122).

„მუნჯური მეთოდის“ გამოყენების დროს მასწავლებელს ეკრძალებოდა აეხსნა მოსწავლეებისათვის მათთვის გასაგებ მშობლიურ ენაზე ის საკითხები, რაც რუსული ენის სწავლებასთან იყო დაკავშირებული. აკრძალული იყო უცნობი სიტყვებისა და ტერმინების

განმარტება მშობლიურ ენაზე თარგმის მეშვეობით. ყოველი რუსული სიტყვა რუსულ ენაზევე უნდა ყოფილიყო ახსნილი თვალსაჩინოებისა და სხვა საშუალებათა გამოყენებით. ბუნებრივია, რომ ამ გზით ახსნილი ბევრი სიტყვა მოსწავლეებისათვის ისევ გაუგებარი დარჩებოდა. ასეთ ვითარებაში მოსწავლეს მხოლოდ მექანიკურად უნდა დაეხეპირებინა სიტყვა, რომლის მნიშვნელობა მისთვის უცნობი იყო.

საინტერესო ცნობებს შეიცავს „ნატურალური მეთოდის“ ავტორების შესახებ გაზეთი „ცნობის ფურცელი“, რომელშიაც იუწყება შემდეგს: „ნატურალური ანუ ბუნებრივი წესი სწავლისა უარყოფს უცხო ერთა სწავლა-განათლების საქმეში იმათ დედა-ენას (ბუნებრივ ენას) და ამ მხრით იგი არც ბუნებრივია და არც ნატურალური. ეს მეთოდი პირველად გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იმის წარმომადგენლებად იქ იყვნენ გენესი და ბერლიცი“ (ცნობის ფურცელი, 1904, #2597).

„მუნჯური მეთოდის“ არსისა და ბუნების შესაბამისად, მასწავლებელი იძულებული ხდებოდა თვალსაჩინოების საშუალებით ეჩვენებინა ბევრი ისეთი მოქმედება, რომელიც თვითონ მას უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა, ხოლო მოსწავლეებს კი არაფერს აძლევდა. ასე მაგალითად, ცნობილია ფაქტები, როდესაც მასწავლებელი ხან ძაღლის როლს ასრულებდა გაკვეთილზე და ძაღლივით ყეფდა, ხან ქათამს ბაძავდა და ა. შ. ამის ნიმუშსა და მაგალითებს, პირველ რიგში, თვითონ ლევიტსკი აძლევდა მასწავლებლებს თავის „სანიმუშო“ გაკვეთილებზე, რომელსაც ის ატარებდა ხოლმე მასწავლებელთა კურსებსა და შეკრებებზე. „მუნჯური მეთოდის“ საფუძველზე მან შეადგინა რუსული ენის ახალი სახელმძღვანელო „რუსული ენის კურსი დაწყებითი სკოლებისთვის ამიერკავკასიაში“ („Курс русского языка для начальных школ Закавказья“), რომელიც პირველად გამოვიდა 1894 წელს. აი, როგორ ასაბუთებს ლევიტსკი „მუნჯური მეთოდის“ გამოყენების მიზანშეწონილობას: „მშობლიური ენის ცოდნა ხელს უშლის სხვა ენის შესწავლას და აქედან დასკვნაც თავისთავად გამომდინარეობს: ის არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა (რუსული) ენის შესასწავლად და იგი არ უნდა ისწავლებოდეს, როგორც მისი ხელისშემშლელი“ (ხუნდაძე, 1951, გვ. 110). ლევიტსკი იყენებდა რა თავის ძალაუფლებას, როგორც სახალხო სკოლების დირექტორი, ადმინისტრაციული წესით ავრცელებდა თავის სახელმძღვანელოებს დასავლეთ საქართველოს სკოლებში და მოითხოვდა იაკობ გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვო“-ს განდევნას.

ქართული ემიგრაციის გაზეთი „საქართველო“ ეხმაურება ლევიტსკის ძალადობრივ ქმედებებს საგანმანათლებლო საკითხებში და შემდეგი სახის ინფორმაციას აქვეყნებს: „სამეგრელოსა და აფხაზეთის სკოლების მასწავლებლებს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორისაგან მოწერილობა მოუვიდათ და ებრძანათ, ბავშვებს სკოლებში უეჭველად მუნჯურის მეთოდით ასწავლონ ხოლმე, რომ ამნაირად ქართულის ხსენება სრულიად გააქრონ დასავლეთ საქართველოში“ (საქართველო, 1904, #1).

„მუნჯური მეთოდის“ დანერგვას სკოლებში საფუძველად დაედო პოლიტიკური სარჩული - იგი ემსახურებოდა ქართული ენის სრულიად განდევნას სკოლებიდან და მიმართული იყო ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. ამიტომაც „მუნჯური მეთოდის“ აღკვეთა სკოლებიდან სამართლიანად იყო მიჩნეული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად. ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ყველა ამ ღონისძიებას, მაგრამ უშედეგოდ. ცარიზმი ურყევად ატარებდა დენაციონალიზაციის პოლიტიკას, სულ უფრო მკაცრ და სასტიკ ზომებს იღებდა, რათა მოესპო ქართული ენა, კულტურა და ერი.

ამ პირობებში ქართული ენა და ქართულ ენაზე სწავლება შემორჩა მხოლოდ საეკლესიო უწყების სკოლებში. იერიში ქართული ენის წინააღმდეგ სამრევლო სკოლებში დაიწყო იმ პერიოდიდან, როდესაც სკოლებს სათავეში ჩაუდგა ვოსტორგოვი.

მნიშვნელოვანია ქართველი ისტორიკოსისა და მკვლევრის თედო ჟორდანიას წვლილი ქართული ენის დაცვის საქმეში. იგი გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების მეთვალყურის პოზიციას იკავებდა და მიუხედავად ამისა, სწავლების „მუნჯური მეთოდი“ მისთვის

მიუღებელი აღმონდა: „მკითხეს მუნჯურ მეთოდზე, რომელსაც მხარს უჭერდა მ. ვოსტორგოვი. მე უარყავ ეს მეთოდი და „შედარებითი მეთოდი“ ვამჯობინე, ე.ი. რუსული ენის შესწავლა ქართული ენის დახმარებით. მე მკითხეს: მეგრელები ქართველები არიან თუ არაო? მეც გადაჭრით ვადიარე, რომ მეგრელები ქართველები არიან და ქართული ესმისთ მეთქი. მეგონა, კიდე ბევრს კითხვებს წამოაყენებენ მეთქი, მაგრამ მეტი კითხვა არავინ დამსწრეთაგანმა არ მომცა. პაექრობა ამით გათავდა“ (ქორდანია, 1913, გვ. 5).

ქართულმა პრესამ აღძრა საკითხი სასწავლებლებში ქართული ენის ინტენსიური სწავლების შესახებ და სერიოზული ბრძოლა გამოუცხადა „მუნჯური მეთოდის“ რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებლებს.

ამრიგად, რუსიფიკატორული პოლიტიკა მიმართული იყო ყოველგვარი ადგილობრივი ელემენტების წინააღმდეგ - ენის, ერის კულტურის აღმოფხვრისაკენ და მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის ასიმილაციას. სახალხო, სამრევლო და სასულიერო სასწავლებლები საქართველოში, კერძოდ, იმერეთში, სამეგრელოსა და სვანეთში განათლების სისტემის უმთავრეს რგოლს წარმოადგენდა, სადაც მძაფრად გამოვლინდა ცარიზმის რეაქციული რუსიფიკატორული, კოლონიური პოლიტიკის არსი და ხასიათი, რომლის ძირითად მიზანს მომავალი ქართველი თაობის გარუსება და მისი ასიმილაცია შეადგენდა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გაგუა, ვ. (1974). *სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში*. თბილისი: განათლება.

ქორდანია, თ. (1913). *ქართული ენისათვის ბრძოლა 1882-1910 წლებში*. ქუთაისი: ძმობა.

სიგუა, ს. (1959). *ნარკვევები სახალხო განათლებისა და პედაგოგიურ იდეათა განვითარების ისტორიიდან საქართველოში*. თბილისი.

შარაძე, გ. (2001). *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*. ტომი. I. თბილისი

შველიძე, დ. (1993). *პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში - ფედერალისტები*. თბილისი: არსი.

ჭუმბურიძე, დ. (2008). განათლების სისტემა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის სამსახურში. *რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში*. თბილისი : უნივერსალი. 301-323.

ხუნდაძე, ტ. (1939). *ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში*. თბილისი.

ხუნდაძე, ტ. (1951). *ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე)*. თბილისი.

Berlitz, M. (1916). *The Berlitz method for teaching modern languages. English part* (Revised American edition). New York: Berlitz. (Original work published in 1888).

განათლება. (1913). ჟურნალი „განათლება“. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/389634>

საქართველო. (1903). გაზეთი „საქართველო“.

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/95/simplesearch?filterquery=1903&filtername=dateIssued&filtertype>equals>

საქართველო. (1904). გაზეთი „საქართველო“.

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/95/simplesearch?filterquery=1904&filtername=dateIssued&filtertype>equals>

საქართველო. (1905). გაზეთი „საქართველო“.

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/95/simplesearch?filterquery=1905&filtername=dateIssued&filtertype>equals>

ცნობის ფურცელი. (1904). გაზეთი „ცნობის ფურცელი“. 2597; 2652.

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/16074/simplesearch?filterquery=1904&filtername=dateIssued&filtertype>equals>

Gouin, F. (1892). *The Art Of Teaching And Studying Language*, London: Longmans, Green & Co.

- Jones, S. F. (2005). *Socialism in Georgian Colors: The European Road to Social Democracy, 1883-1917*. Harvard University Press.
- Kappeler, A. (2004). The Ambiguities of Russification, in: *Kritika: Explorations in Russian and Eurasian History*. 5, 291-297.
- Laitin, D. (1998). *Identity in formation: The Russian-speaking populations in the Near Abroad*. Ithaca, NY: Cornell University Press.
- Miller, A. (2008). *The Romanov empire and nationalism: essays in the methodology of historical research*. New York: Central European University Press.
- Riasanovsky, N. V. (2005). *Russian Identities: A Historical Survey*. Oxford University Press.
- Richards, J. & Rodgers, T. (2001). *Approaches and Methods in Language Teaching*. Cambridge University Press.
- Sauveur, Lambert (1874b). *Introduction to the Teaching of Living Languages without Grammar or Dictionary*. Boston, New York: F. W. Christern.
- Shohamy, E. (2006). *Language Policy: Hidden Agendas and New Approaches*. London: Routledge.
- Spolsky, B. (2004). *Language Policy*. Cambridge University Press.
- Tannenbaum, M.; Shohamy, E. (2023). *Developing Multilingual Education Policies: Theory, Research, Practice*, Routledge.
- Thaden, E. C. (1981). *Russification in the Baltic Provinces and Finland, 1855-1914*. Princeton, N. J.
- Weeks, T. R. (2010). *Across the Revolutionary Divide: Russia and the USSR, 1861-1945*. Wiley-Blackwell.
- Weinerman, E. (1996). *Russification in imperial Russia: The search for homogeneity in the multinational state*. Indiana University.
- Weinreich, U. (1953). The Russification of Soviet Minority Languages, *Problems of Communism*, XI (6), 46-57.
- La Géorgie. (1903). Newspaper 'La Géorgie', 1;
<https://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/32211/simplesearch?filterquery=1903&filtername=dateIssued&iltertype>equals>

REFERENCES

- Berlitz, M. (1916). *The Berlitz Method for Teaching Modern Languages. English part* (Revised American edition). New York: Berlitz. (Original work published in 1888).
- Chumburidze, D. (2008). The education system in the service of Russian colonial policy, in: *Russian Colonization in Georgia*, Tbilisi, pp. 301-323.
- Gagua, V. (1974). *Public Education in Georgia after the 19th-century Reform*. Tbilisi [in Georgian]
- Gouin, F. (1892). *The Art of Teaching and Studying Language*, London: Longmans, Green & Co.
- Jones, S. F. (2005). *Socialism in Georgian Colors: The European Road to Social Democracy, 1883-1917*, Harvard University Press.
- Jordania, T. (1913). *The Struggle for the Georgian Language in 1882-1910*. Kutaisi [in Georgian]
- Kappeler, A. (2004). *The Ambiguities of Russification*, in: *Kritika: Explorations in Russian and Eurasian History*. 5, 291-297.
- Khundadze, T. (1939). *Educational Policy of Tsarism in Georgia*. Tbilisi [in Georgian]
- Khundadze, T. (1951). *Essays from the History of Public Education in Georgia (XIX century)*. Tbilisi [in Georgian]
- Laitin, D. (1998). *Identity in Formation: The Russian-speaking Populations in the Near Abroad*. Ithaca, NY: Cornell University Press.
- Miller, A. (2008). *The Romanov Empire and Nationalism: Essays in the Methodology of Historical Research*. New York: Central European University Press.
- Riasanovsky, N. V. (2005). *Russian Identities: A Historical Survey*. Oxford University Press.

- Richards, J. & Rodgers, T. (2001). *Approaches and Methods in Language Teaching*. Cambridge University Press.
- Sauveur, Lambert (1874b). *Introduction to the Teaching of Living Languages without Grammar or Dictionary*. Boston, New York: F. W. Christern.
- Sharadze, G. (2001). *The History of the Georgian Emigrant Journalism*, Vol. I. Tbilisi [in Georgian]
- Shohamy, E. (2006). *Language Policy: Hidden Agendas and New Approaches*. London: Routledge.
- Shvelidze, D. (1993). *Formation of Political Parties in Georgia - Federalists*. Tbilisi [in Georgian]
- Sigua, S. (1959). *Essays on the History of the Development of Public Education and Pedagogical Ideas in Georgia*. Tbilisi [in Georgian]
- Spolsky, B. (2004). *Language Policy*. Cambridge University Press.
- Tannenbaum, M.; Shohamy, E. (2023). *Developing Multilingual Education Policies: Theory, Research, Practice*, Routledge.
- Thaden, E. C. (1981). *Russification in the Baltic Provinces and Finland, 1855–1914*. Princeton, N. J.
- Weeks, T. R. (2010). *Across the Revolutionary Divide: Russia and the USSR, 1861–1945*. Wiley-Blackwell.
- Weinerman, E. (1996). *Russification in Imperial Russia: The Search for Homogeneity in the Multinational State*. Indiana University.
- Weinreich, U. (1953). *The Russification of Soviet Minority Languages*. Problems of Communism, XI (6), 46-57.
- Ganatileba. (1913). Journal 'Ganatileba', 2. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/389634>
- La Géorgie. (1903). Newspaper 'La Géorgie', 1; 4. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/32211/simplesearch?filterquery=1903&filtername=dateIssued&filtertype>equals>
- Sakartvelo. (1903). Newspaper 'Sakartvelo', 2; 3; 4; 5; 6; 7. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/95/simplesearch?filterquery=1903&filtername=dateIssued&filtertype>equals>
- Sakartvelo. (1904). Newspaper 'Sakartvelo', 1; 9. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/95/simplesearch?filterquery=1904&filtername=dateIssued&filtertype>equals>
- Sakartvelo. (1905). Newspaper 'Sakartvelo', 20. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/95/simplesearch?filterquery=1905&filtername=dateIssued&filtertype>equals>
- Tsnobis Purtseli. (1904). Newspaper 'Tsnobis Purtseli', 2597; 2652. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/16074/simplesearch?filterquery=1904&filtername=dateIssued&filtertype>equals>